2024 წლის ფინანსური და პროგრამული ანგარიში

ასოციაცია "საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი"

SOS ბავშვთა სოფელი

ასოციაციის "საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი" 2024 წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში

შესავალი 1

1. ოჯახის გაძლიერების პროგრამა 1

1.1. დედათა და ბავშვთა თავშესაფარის მომსახურებები 2

1.2. ბავშვთა დღის ცენტრის მომსახურება (ასაკობრივი ჯგუფი: 1-3 წელი) 3

1.3. პროექტი „ოჯახებისა და ახალგაზრდების გაძლიერების გზით სოციალური და ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში“ 4

1.4. ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამა 4

1.5. პროექტი „საქართველოში ადგილობრივი თემისა და პარტნიორების გაძლიერებით, სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახების სოციალური და ეკონომიკური ფუნქციონირების გაუმჯობესება“ 5

2. ალტერნატიული ზრუნვა 5

2.1. მცირე საოჯახო სახლები 6

2.2 ახალგაზრდების განვითარების პროგრამა 7

2.3 მინდობით აღზრდის მხარდამჭერი პროგრამა 8

3. მოწყვლადი ახალგაზრდების ცხოვრებისეული, მეწარმეობისა და დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარების მხარდაჭერა 9

3.1. პროექტი „ახლაგაზრდების თვითგამორკვევის, კეთილდღეობისა და დასაქმების ხელშეწყობა“ 9

4. ადვოკატირება 10

ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“ 2024 წლის ფინანსური ანგარიში

ასოციაციის „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“ ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....12

ასოციაციის „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“ საქმიანობის ფინანსური შედეგების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....13

ასოციაციის „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“ ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....14

შესავალი

ასოციაცია "საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი" არის არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი, რომელსაც გააჩნია საკუთარი წესდება და ჰყავს გამგეობა. ჩვენი ასოციაცია მოქმედებს საერთაშორისო ორგანიზაციის, კერძოდ კი SOS Children's Villages International-ის წესდებისა და პრინციპების შესაბამისად, რომელსაც მსოფლიოს 118 ქვეყანაში ჰყავს წევრი ორგანიზაცია ეროვნული ასოციაციების სახით.

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მიტოვების რისკის წინაშე მყოფი და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისა და ახალგაზრდების სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესება და მათი კეთილდღეობის მხარდაჭერა.

ასოციაცია "საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი" 1989 წლიდან საქმიანობს საქართველოში. ორგანიზაციის მიზანია, ოჯახის მხარდამჭერი და ალტერნატიული მომსახურებების შეთავაზებით, მიტოვების რისკის წინაშე მყოფი და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისა და ახალგაზრდების მზრუნველ და ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მათ ჯანსაღ პიროვნებებად ფორმირებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას.

ყველა მიმართულება, რომელიც ხორციელდება საქართველოში ჩვენი ასოციაციის მიერ სხვადასხვა პროგრამისა თუ პროექტის სახით, სრულად პასუხობს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპებს, **საქართველოს კანონს "ბავშვის უფლებათა კოდექსი"** და ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკას, რაც გახდა საფუძველი იმისა, რომ ჩვენი ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც საქართველოს მთავრობასთან, ისე საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან და კერძო სექტორთან.

1. ოჯახის გაძლიერების პროგრამა

თბილი, მზრუნველი და მოსიყვარულე ოჯახი მნიშვნელოვანია ბავშვის ფიზიკური, კოგნიტური, ფსიქო-ემოციური და სოციალური განვითარებისთვის. თითოეული ბავშვისთვის აუცილებელია ოჯახი უზრუნველყოფდეს ისეთ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მის ჯანსაღ განვითარებას. შესაბამისად, ოჯახის გაძლიერების პროგრამის მთავარი მიზანია, სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და მათი მშობლების დახმარება, რათა შესაძლებელი გახდეს ბავშვების აღზრდა-განვითარება უსაფრთხო და მზრუნველ ოჯახურ გარემოში. ოჯახის გაძლიერების პროგრამა ფუნქციონირებს თბილისში, სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, გურიისა და კახეთის რეგიონებში.

ოჯახის გაძლიერების პროგრამის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენენ 0-18 წლამდე ბავშვები და მათი მშობლები, რომლებიც სხვადასხვა სოციალური ფაქტორების გამო საჭიროებენ მხარდაჭერასა და დახმარებას.

ოჯახის გაძლიერების პროგრამა, სამიზნე ჯგუფის ბენეფიციარებს სთავაზობს სხვადასხვა სახის მომსახურებას, როგორიცაა ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა, დასაქმებასა და თვითდასაქმებაში დახმარება.

პროგრამის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, **2024 წელს (დეკემბრის მდგომარეობით)** პროგრამის სოციალური მუშაკების მიერ, **თბილისის, ქუთაისისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში დახმარება გაეწია 0–18 წლამდე ასაკის 1520 ბავშვს, ახალგაზრდასა და მშობელს**.

2024 წელს, ოჯახების გაძლიერების პროგრამის ფარგლებში დასაქმებული თანამშრომლების (სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, დასაქმების კონსულტანტები, ქოუჩი) უწყვეტი პროფესიული განათლების მხარდასაჭერად, ჩატარდა არაერთი მნიშვნელოვანი ტრენინგი, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო მათი პროფესიული კომპეტენციების გაზრდას, გარდა ამისა, პოზიტიური გავლენა იქონია მომსახურების ხარისხზე.

1.1. დედათა და ბავშვთა თავშესაფარის მომსახურებები

ოჯახის გაძლიერების პროგრამის ფარგლებში, თბილისსა და ქუთაისში **2024 წელს ფუნქციონირებდა ოთხი დედათა და ბავშვთა თავშესაფარი**.

აღნიშნული მომსახურების მიზანია უზრუნველყოს მიტოვების რისკის წინაშე მყოფი ბავშვების დედებისა (მარტოხელა მშობლები) და მათი 10 წლამდე ასაკის შვილების მხარდაჭერა, კერძოდ კი თავშესაფრის შეთავაზება და სხვადასხვა სახის ინტერვენციების მიწოდება, მათი სოციალური ფუნქციონირების აღდგენა-გაუმჯობესებისთვის.

<u>დედათა და ბავშვთა თავშესაფრები განვითარდა საქართველოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით</u> და იგი ჯამში გათვალილია **60 ბენეფიციარის მხარდაჭერაზე (შენიშვნა:** ბენეფიციარში მოიაზრება მარტოხელა დედები და მიტოვების რისკის წინაშე მყოფი მათი მცირეწლოვანი შვილები).

თბილისსა და ქუთაისში არსებული დედათა და ბავშვთა თავშესაფრის მომსახურებები ფოკუსირებულია ბავშვთა მიტოვების პრევენციაზე და ხელს უწყობს თავშესაფარში მცხოვრები დედების გაძლიერებას, რათა მათ თავშესაფრიდან გასვლის შემდგომ დამოუკიდებლად შეძლონ უსაფრთხო გარემოში საკუთარ შვილებზე სათანადოდ ზრუნვა.

თავშესაფარში განთავსებული ბენეფიციარები იღებენ შემდეგი სახის მომსახურებებს:

- 24 საათიანი/სადღეღამისო ზრუნვა
- ჯანსაღი საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა
- ასაკის, სქესისა და სეზონის შესაბამისი სამოსით უზრუნველყოფა
- პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფა
- საჭიროების შემთხვევაში, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ორგანიზება
- ადგილზე პედიატრის, ექთანისა და ძიძის მომსახურება
- პრენატალური ზრუნვა
- ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა
- დედების ბავშვზე ზრუნვის უნარ-ჩვევების განვითარებაში ხელშეწყობა

- დედებისათვის პროფესიული და არაფორმალური განათლების მიღების ხელშეწყობა
- თანადგომის ქსელის გაძლიერება
- დედების დასაქმებაში ხელშეწყობა.

პროფესიული განათლების მიღების, დასაქმებასა და თვითდასაქმებაში დახმარების მიზნით, ბენეფიციარებს მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, გაეწიათ სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერა.

თავშესაფრის ბენეფიციარებთან, მათი გაძლიერების მიზნით, პერმანენტულად ტარდებოდა სხვადასხვა სახის ინტერვენციები, როგორიცაა: ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, ფსიქო-ემოციური მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით; ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები მშობლის უნარ-ჩვევების, პიროვნული ზრდის, ტრავმასთან გამკლავებისა და ურთიერთობების დროს არსებული სირთულეების დაძლევის კუთხით. გარკვეული პერიოდულობით მოწვეული სპეციალისტები ონლაინ ფორმატით ატარებდნენ საინფორმაციო შეხვედრებს სამართლებრივ და ჯანსაღი ცხოვრების წესის საკითხებზე.

თბილისისა და ქუთაისის ოჯახის გაძლიერების პროექტების სოციალური მუშაკების მხარდაჭერით, აქტიურად მიმდინარეობდა თავშესაფრების ბენეფიციარების თანადგომის ქსელთან მუშაობა; გარდა ამისა, ისინი სხვადასხვა თემაზე ატარებდნენ ადვოკატირების ღონისძიებებს სხვადასხვა უწყებასთან (სამთავრობო და არასამთავრობო) თანამშრომლობით.

2024 წელს, თბილისსა და ქუთაისში ადმინისტრირებულ დედათა და ბავშვთა თავშესაფრებში მთლიანობაში მომსახურება გაეწია 112 ბავშვსა და მშობელს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოთხივე დედათა და ბავშვთა თავშესაფარი რეგისტრირებულია **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური სამინისტროს** მიერ და ფინანსდება <u>საქართველოს მთავრობის მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის ფარგლებში.</u>

1.2. ბავშვთა დღის ცენტრის მომსახურება (ასაკობრივი ჯგუფი: 1-3 წელი)

ქუთაისის ოჯახის გაძლიერების პროექტის განუყოფელი ნაწილია 1-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვთა დღის ცენტრი, რომელიც წარმოადგენს ოჯახის მხარდამჭერ სათემო მომსახურებას.

2024 წელს, 1-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვთა დღის ცენტრის ფარგლებში, მომსახურება გაეწია 28 მცირეწლოვან ბავშვს.

ნიშანდობლივია აღინიშნოს ის, რომ დღის ცენტრის მომსახურების თანადაფინანსებას უზრუნველყოფს ქ. ქუთაისის მერია, რომელიც პროექტის მდგრადობის უზრუნველყოფის ნაწილში ა(ა)იპ ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფლისთვის“ გახლავთ ერთ-ერთი მინიშვნელოვანი პარტნიორი.

1.3. პროექტი „ოჯახებისა და ახალგაზრდების გაძლიერების გზით სოციალური და ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში“

2023 წელს დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს **ავსტრიის განვითარების სააგენტოსა და ავსტრიის ეს-ო-ეს ბავშვთა სოფლის მიერ დაფინანსებული 36 თვიანი [2023-2025] პროექტი „ოჯახებისა და ახალგაზრდების გაძლიერების გზით სოციალური და ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში“.** აღნიშნული პროექტის ფარგლებში ბენეფიციარ ბავშვებს, ახალგაზრდებსა და მათ ოჯახებს (მშოლებს) მიეწოდათ არაერთი მომსახურება, როგორიცაა ფსიქოსოციალური დახმარება, პროფესიული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობა, საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილება,

პროექტის მიმდინარეობისას განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა გენდერული თანასწორობის საკითხებზე, ასევე, სახელმწიფო (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია, შსს ადგილობრივი უწყება, საჯარო სკოლები და ა.შ.) და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლეირებაზე.

პროექტის ფარგლებში, ასევე, ფუნქციონირებდა **დღის ცენტრი, რომელიც ითვალისწინებს ერთდროულად 6-დან 18 წლამდე ასაკის 20 ბავშვის მომსახურებას.** აღნიშნული მომსახურების ფარგლებში, <u>2024 წელს მთლიანობაში დახმარება გაეწია 28 სოციალურად დაუცველ ბავშვს,</u> რამაც თავის მხრივ წვლილი შეიტანა მათი სოციალური ფუნქციონირების აღდგენა-გაუმჯობესებაში. აქვე, ნიშანდობლივია აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ დღის ცენტრის მომსახურება რეგისტრირებულია **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს** მიერ და შესაბამისად, ფინანსდება <u>საქართველოს მთავრობის მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის ფარგლებში.</u>

ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში, 2024 წელს (პროექტის II წელი), შესაძლებელი გახდა **210 ბენეფიციარი ბავშვისა და მშობლის დახმარება.**

1.4. ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამა

ოჯახის გაძლიერების პროექტის ფარგლებში, **თბილისში, ასევე, ქუთაისის, ხონისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში** წარმატებით განხორციელდა ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამა.

ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამა დაფინასებულია **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს** მიერ, <u>საქართველოს მთავრობის მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში.</u> პროგრამა განკუთვნილია 0-7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების ან ამ მხრივ რისკის მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის. აღნიშნული მომსახურება გულისხმობს ბავშვის განვითარების ხელშეწყობას და მშობლობის უნარების გაძლიერებას. პროგრამა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

2024 წელს **(დეკემბრის მდგომარეობით), თბილისის, ასევე, ქუთაისის, ხონის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში** ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის ფარგლებში ლიცენზირებული პროგრამით გადამზადებულმა ადრეული განვითარების სპეციალისტებმა დახმარება გაუწიეს **190 ბავშვს.**

1.5. პროექტი „საქართველოში ადგილობრივი თემისა და პარტნიორების გაძლიერებით, სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახების სოციალური და ეკონომიკური ფუნქციონირების გაუმჯობესება“

2024 წლის 1 სექტემბერს დამტკიცდა გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროსა და ჰერმან გმაინერის გერმანიის ფონდის მიერ დაფინანსებული 39 თვიანი **პროექტი „საქართველოში ადგილობრივი თემისა და პარტნიორების გაძლიერებით, სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახების სოციალური და ეკონომიკური ფუნქციონირების გაუმჯობესება“ (2024-2028)**.

პროექტი მიზნად ისახავს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის თემში, კერძოდ, ქ. ჯვარსა და სოფელ ფოცხოეწერში მცხოვრები, როგორც 120 მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახის სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესებას, ისე ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მომუშავე ადგილობრივი სამთავრობო და არასამთვარობო ორგანიზაციების გაძლიერებას, რათა ხელი შეეწყოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ოჯახის მხარდამჭერი სისტემის გაუმჯობესებას.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ ექვს საგანმანათლებლო საჯარო სკოლასთან თანამშრომლობა, რათა ხელი შეეწყოს ცნობიერების ამაღლებას ბავშვთა უფლებების დაცვის, მათ შორის, ძალადობისგან დაცვის საკითხებზე.

საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელს პარტნიორობას უწევს **ა(ა)იპ „ჯვარის სათემო განათლების ცენტრი“**.

2024 წლის სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით პერიოდი, ძირითადად დაეთმო პროექტის საწყის ეტაპზე დაგეგმილ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებსა და აქტივობებს, როგორიცაა თანამშრომელთა შერჩევა, სამუშაო აღწერილობებისა და შრომითი ხელშეკრულებების მომზადება, კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვასთან დაკავშირებული ტენდერი, ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციასთან გასაფორმებელი ხელშეკრულების მომზადება და ა.შ.

2. ალტერნატიული ზრუნვა

ყველა ბავშვის უფლებაა იზრდებოდეს მზრუნველ და ოჯახურ გარემოში. თუმცა იმ შემთხვევაში, როცა ბიოლოგიურ ოჯახში ბავშვის აღზრდა შეუძლებელია, საჭირო ხდება მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის ალტერნატიული მომსახურების მიწოდება. სწორედ ამ მიზნით, ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, სახელმწიფო უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ალტერნატიული ზრუნვის ფარგლებში, მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს სთავაზობს ოჯახთან მიახლოებულ,

მზრუნველ და უსაფრთხო გარემოს, რომელიც ხელს უწყობს მათ ჯანსაღ პიროვნებებად ჩამოყალიბებას, ასევე, მათი სოციალური უნარების განვითარებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას.

ალტერნატიული ზრუნვის ფარგლებში, ასოციაციის მიზანია მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებსა და ახალგაზრდებს დაეხმაროს საკუთარი მომავლის ფორმირებაში. შესაბამისად, ბენეფიციარებს საშუალება ეძლევათ ოჯახთან მიახლოებულ გარემოში ჩამოაყალიბონ მყარი ურთიერთობები, მათი ინტერესებისა და ნიჭის გათვალისწინებით, გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები; გარდა ამისა, მიიღონ განათლება, გაიღრმავონ პრაქტიკული ცოდნა და გახდნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები.

ალტერნატიული ზრუნვის ფარგლებში, ორგანიზაცია მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს/ახალგაზრდებს სთავაზობს შემდეგ მომსახურებებს: **მცირე საოჯახო სახლები, ახალგაზრდების განვითარების პროგრამა და მინდობით აღზრდის მხარდამჭერი პროგრამა.**

2.1. მცირე საოჯახო სახლები

მცირე საოჯახო სახლის დანიშნულებაა ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული, ოჯახთან მიახლებული გარემოს შექმნა. აღნიშნული გარემო ბავშვს აძლევს შესაძლებლობას ჰქონდეს ბედნიერი ბავშვობა, დაეუფლოს სოციალურ უნარ-ჩვევებს, მიიღოს განათლება და ეტაპობრივად მოემზადოს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.

მცირე საოჯახო სახლში თითოეულ ბავშვს ჰყავს აღმზრდელ(ებ)ი, რომლებიც ზრუნავენ მათზე და უქმნიან მას უსაფრთხო, სტაბილურ და სიყვარულით სავსე გარემოს. ბიოლოგიური დედმამიშვილები აუცილებლად ერთსა და იმავე მცირე საოჯახო სახლში იზრდებიან.

მცირე საოჯახო სახლში მცხოვრებ ბავშვებთან გამოიყენება ინდივიდუალური მიდგომა მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ, რომელშიც ჩართულნი არიან სხვადასხვა სპეციალისტები (სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, აღმზრდელი, პედიატრი) და თავად ბავშვები. აღსაზრდელის საუკეთესო ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, იქმნება ინდივიდუალური განვითარების გეგმა. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული ზრუნვის მიწოდებას თითოეული ბავშვისათვის.

გარდა საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა, როგორიცაა ჯანსაღი კვება, უსაფრთხო გარემო, განათლება და ჯანდაცვა, მცირე საოჯახო სახლების მომსახურება საშუალებას აძლევს აღსაზრდელებს მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი ნიჭი, ინტერესები და პოტენციალი, ორგანიზაცია კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს აღნიშნული პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობას. ბავშვები ჩართულნი არიან სხვადასხვა სახის ფორმალური და არაფორმალური განათლების აქტივობებში, დასვენებისა და გაჯანსაღების, კულტურულ, შემეცნებით და სპორტულ ღონისძიებებში, სწავლობენ საკუთარი ჯიბის ფულის გამოყენებას, ეუფლებიან სოციალურ უნარებსა და ეტაპობრივად ემზადებიან დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.

ნიშნადობლივია აღინიშნოს ის, რომ მცირე საოჯახო სახლის მომსახურებები ლიცენზირებული და რეგისტრირებულია **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს** მიერ. შესაბამისად, მათი დაფინანსება ხდება ცენტრალური მთავრობის მიერ; გარდა ამისა, მაღალი სტანდარტის მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, თითოეული სახლი თანადაფინასებულია ჰერმან გმაინერის გერმანიის ფონდის მიერ.

2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით, **თბილისში, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონების სხვადასხვა მუნიციპალიტეტში** ფუნქციონირებდა **10 მცირე საოჯახო სახლი.** შესაბამისად, ზემოაღნიშნული ალტერნატიული რეზიდენტული მომსახურების ფარგლებში, **2024 წელს მომსახურება მიიღო 94 მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვმა.**

2.2. ახალგაზრდების განვითარების პროგრამა

ახალგაზრდების განვითარების პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებისთვის ხელმისაწვდომია ახალგაზრდული საცხოვრისისა და ახალგაზრდების მეთვალყურეობითი ზრუნვის ქვეპროგრამები.

ახალგაზრდული საცხოვრისის ქვეპროგრამის მიზანია მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ახალგაზრდების დახმარება, მათი სრულფასოვან პიროვნებებად ჩამოყალიბებისა და დამოუკიდებელი სოციალური ფუნქციონირების მიზნით.

ახალგაზრდების განვითარების პროგრამის ფარგლებში, თბილისსა (4 სახლი) და ქუთაისში (1 სახლი) ხორციელდება ახალგაზრდული საცხოვრისის ქვეპროგრამა. თბილისის შემთხვევაში 3 ახალგაზრდული საცხოვრისი რეგისტრირებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ხოლო 1 ახალგაზრდული საცხოვრისი - თბილისის მერიის მიერ.

აღნიშნული ქვეპროგრამის ადმინისტრირებას ორივე ლოკაციაში უზრუნველყოფენ ორგანიზაციაში დასაქმებული სპეციალისტები. მცირე საოჯახო სახლების მსგავსად, ახალგაზრდული საცხოვრისის ქვეპროგრამაშიც ახალგაზრდებთან მუშაობისას გამოიყენება ზრუნვის ინდივიდუალური მიდგომა.

ახალგაზრდული საცხოვრისის ქვეპროგრამის დანიშნულებაა უზრუნველყოს ახალგაზრდების მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, ხელი შეუწყოს მათ საკუთარი შესაძლებლობებისა და პოტენციალის გამოვლენაში და სოციალური უნარების განვითარებაში. ახალგაზრდებს საშუალება აქვთ მიიღონ უმაღლესი, უმაღლეს-პროფესიული და/ან პროფესიული განათლება, დასაქმდნენ და მოემზადონ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.

რაც შეეხება ახალგაზრდების მეთვალყურეობითი ზრუნვის ქვეპროგრამას, იგი ხელმისაწვდომია იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ როგორც ორგანიზაციის მიერ კონცეფციით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, ისე სახელმწიფო პროგრამების მოთხოვნებს (მაგ. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ახალგაზრდა უნდა სწავლობდეს უმაღლეს, უმაღლეს-პროფესიულ და/ან პროფესიულ სასწავლებელში, ან მუშაობდეს; ხოლო თბილისის მერიის მიერ განსაზღვრული პროგრამის ფარგლებში აუცილებელია ახალგაზრდა იყოს თბილისში ჩაწერილი).

ახალგაზრდების მეთვალყურეობითი ზრუნვის ქვეპროგრამის მთავარი მიზანია, ცხოვრებისეული უნარების განვითარება-დახვეწა და ახალგაზრდების დახმარება დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებაში. ამ ეტაპზე ახალგაზრდა უკვე დამოუკიდებლად ცხოვრობს საკუთარ ან ორგანიზაციის ფინანსური რესურსით ნაქირავებ ბინაში. ახალგაზრდების მეთვალყურეობითი ზრუნვის ქვეპროგრამის ფარგლებში, სპეციალისტები უზრუნველყოფენ ახალგაზრდაზე ზედამხედველობას; გარდა ამისა, უწყვეტად მიმდინარეობს მათთვის მატერიალური და არამატერიალური დახმარების გაწევა.

ალტერნატიული ზრუნვის სხვადასხვა ეტაპის გავლის შემდგომ, ახალგაზრდა დამოუკიდებლად გადადის საცხოვრებლად. ამ პერიოდში წყდება მასზე პირდაპირი მზრუნველობა და შესაბამისად, მისი ინდივიდუალური განვითარების გეგმის წარმოება.

2024 წელს, ახალგაზრდების განვითარების პროგრამის ფარგლებში, მთლიანობაში მომსახურება გაეწია 46 ახალგაზრდას (თბილისში 29 ახალგაზრდა, ხოლო ქუთაისში 17 ახალგაზრდა).

2.3 მინდობით აღზრდის მხარდამჭერი პროგრამა

მინდობით აღზრდა ბავშვზე ზრუნვის ერთ-ერთი ალტერნატიული ფორმაა, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოსა და მიმღებ ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე არასრულწლოვანზე ზრუნვას, მის მოვლასა და აღზრდას. მისი მიზანია ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდა და მისი განვითარების ხელშეწყობა. ბავშვების განთავსება მინდობით აღზრდაში შესაძლებელია 21 წლის ასაკამდე. ამასთანავე, დედმამიშვილების განთავსება ხდება ერთ ოჯახში.

საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი სახელმწიფოსთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, 2024 წლიდან უზრუნველყოფს მინდობით აღმზრდელების მოძიებას, მათ გადამზადებასა და ბავშვის გადაყვანის შემდგომ მუდმივ მხარდაჭერას, იქნება ეს კონსულტაციები, მხარდამჭერი ჯგუფები თუ მიმდინარე ტრენინგები.

2024 წლის განმავლობაში, სსიპ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთან თანამშრომლობით, შესაძლებელი გახდა 9 მინდობით აღმზრდელის მოძიება და გადამზადება.

3. მოწყვლადი ახალგაზრდების ცხოვრებისეული, მეწარმეობისა და დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარების მხარდაჭერა

3.1. პროექტი „ახლაგაზრდების თვითგამორკვევის, კეთილდღეობისა და დასაქმების ხელშეწყობა“

2022 წლის 1 ნოემბრიდან, საქართველოში, ყირგიზეთსა და ბელორუსიაში მიმდინარეობს 38-თვიანი (2022-2025) **პროექტი „ახლაგაზრდების თვითგამორკვევის, კეთილდღეობისა და დასაქმების ხელშეწყობა“,** რომელსაც გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროსა (BMZ) და ჰერმან გმაინერის გერმანიის ფონდის დაფინანსებით ახორციელებს SOS Children's Villages International.

პროექტის მიზანია თბილისში, შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონების რამდენიმე მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოწყვლადი ახალგაზრდების დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა და ადგილობრივ შრომის ბაზარზე, მათ დასაქმებასა და თვითდასაქმებაში დახმარება.

პროექტის **ადგილობრივი პარტნიორები** არიან: **“კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრი”, საზოგადოება „ბილიკი“, „გორის კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი“ და საკონსულტაციო კომპანია „მაინდვორქსი“**.

საქართველოსთან მიმართებით, პროექტის ფარგლებში მთლიანობაში დაგეგმილია 250 პირდაპირი, ხოლო 30 არაპირდაპირი ბენეფიციარი ახალგაზრდის დახმარება.

რაც შეეხება **2024 წლის შედეგებს,** პროექტის სპეციალისტებმა (პროექტის მენეჯერი, კოორდინატორები, სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, დასაქმების კონსულტანტები და ქოუჩები) ჰოლისტური მიდგომის გამოყენებით, წარმატებით შეძლეს არაერთი მნიშვნელოვანი შედეგის მიღწევა, კერძოდ,

- მასტერ-ტრენერების ფასილიტაციით, პროექტის 18 სპეციალისტმა წარმატებით დაასრულა მტკიცებულებაზე დაფუძნებული საერთაშორისო პროგრამა - „Next Economy“;
- მოხდა მტკიცებულებაზე დაფუძნებული საერთაშორისო პროგრამის - „Next Economy“ სამი მოდულის ადაპტირება. აღნიშნული მოდულების დანიშნულებაა, ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების დასაქმების სპეციფიკური გამოწვევების დაძლევას. აღნიშნული პროგრამის სამი მოდულის ადაპირების პროცესში ჩართული იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შშმ პირების) სფეროს ექსპერტთა ჯგუფი და ისინი მჭიდროდ თანამშრომლობდნენ პროექტის მულტიდისციპლინურ გუნდთან;
- 101 ახალგაზრდამ აქტიური მონაწილეობა მიიღო მტკიცებულებაზე დაფუძნებული საერთაშორისო პროგრამის - „Next Economy“ ტრენინგებში და შეიძინა აუცილებელი პიროვნული განვითარებისა და დასაქმებისთვის საჭირო უნარები;
- 149 ახალგაზრდამ სხვადასხვა სპეციალისტისგან მიიღო კარიერული განვითარების საკითხებზე კონსულტაცია;

- შიდა კონკურსის წესით, პროექტის 11 მონაწილემ მიიღო მცირე ბიზნესის გრანტი. შესაბამისად, ისინი წარმატებით დარეგისტრირდნენ მცირე მეწარმეებად.
- პროექტის 86 მონაწილემ გაიარა 23 სახის პროფესიული სწავლების კურსი.
- 81 ახალგაზრდამ, რომელმაც გაიარა მტკიცებულებაზე დაფუძნებული საერთაშორისო პროგრამის - „Next Economy“ ტრენინგი, წარმატებით დაასრულა პროფესიული კურსები და მოკლევადიანი სტაჟირების პროგრამის ფარგლებში, შეიძინა დასაქმებისთვის საჭირო არაერთი მნიშვნელოვანი უნარი;
- პროექტის 61 მონაწილეს გადაეცა სხვადასხვა სფეროსთვის საჭირო სამუშაო ხელსაწყოები, რაც ხელს უწყობს მათი დასაქმებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობების გაზრდას.
- პროექტის 81 მონაწილიდან, რომლებმაც მიიღეს მოკლევადიანი ან გრძელვადიანი დასაქმების გამოცდილება, 42 ახალგაზრდამ მოახერხა ღირსეული ანაზღაურებით სამუშაოს დაწყება 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში; ზემოაღნიშნული 81 მონაწილიდან, 60 ახალგაზრდამ იპოვა დასაქმების შესაძლებლობა - 34 დაქირავებით დასაქმდა, ხოლო 26 თვითდასაქმდა.

4. ადვოკატირება

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციისა და საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ პრინციპების დაცვით, ასოციაცია “საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი” ადვოკატირებას უწევს ბავშვთა უფლებების დაცვას და დარწმუნებულია, რომ ბავშვის განვითარება და სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ ოჯახურ გარემოში.

ორგანიზაციაში არსებობს სტრატეგია, რომელიც ფოკუსირებულია ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუმჯობესებაზე. ადვოკატირების სტრატეგიის მიზნების გათვალისწინებით, მუდმივ რეჟიმში ხდება დიალოგი პოლიტიკის შექმნელებთან და მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა, როგორც ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ისე საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან.

ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	31.12.2024 ლარი	31.12.2023 ლარი
გრძელვადიანი აქტივები		
არამატერიალური აქტივები	35,420	48,702
ძირითადი საშუალებები	10,841,318	11,398,725
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები	**10,876,738**	**11,447,427**
მარაგები	38,084	37,148
მოთხოვნები	523,480	714,746
ფული და ფულის ექვივალენტი	2,878,120	2,159,892
მთლიანი მიმდინარე აქტივები	**3,439,684**	**2,911,786**
სულ აქტივები	**14,316,422**	**14,359,213**
აკუმულირებული ფონდები და ვალდებულებები		
აკუმულირებული ფონდები		
შეუზღუდავი ფონდები	11,696,293	11,503,665
მთლიანი აკუმულირებული ფონდები	**11,696,293**	**11,503,665**
grZelvadiani valdebulebebi	**0**	**0**
ფონდები სატრასტო მართვაში	85,362	165,083
გრძელვადიანი უზრუნველყოფის ფონდი (რეზერვი)	1,927,035	2,262,268
შეზღუდული ფონდები	521,803	300,108
მიმდინარე ვალდებულებები	**2,012,397**	**2,427,351**
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	**2,534,200**	**2,727,459**
ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე	85,929	128,089
ვალდებულებები თანამშრომლების წინაშე		
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	**85,929**	**128,089**
სულ აკუმულირებული ფონდები და ვალდებულებები	**14,316,422**	**14,359,213**

საქმიანობის ფინანსური შედეგების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31.12.2024	31.12.2023
შემოსავალი	**ლარი**	**ლარი**
შემოსავალი საზღვარგარეთიდან	**6,444,232**	**6,892,183**
შემოსავალი მხარდამჭერი და განვითარების ხელშემწყობი ასოციაციებიდან მიმდინარე ხარჯებისთვის	6,444,232	6,892,183
შემოსავალი მხარდამჭერი და განვითარების ხელშემწყობი ასოციაციებიდან მშენებლობის პროექტებისთვის		
ადგილობრივი შემოსავალი	**2,278,717**	**2,322,103**
ადგილობრივი შემოსავალი მიღებული ფონდების მოზიდვით	163,712	218,119
სახელმწიფო სუბსიდიები და გრანტები	1,906,163	1,976,442
საოპერაციო ადგილობრივი შემოსავალი	145,115	14,766
სხვა ადგილობრივი შემოსავალი	63,727	112,776
სულ შემოსავალი	**8,722,949**	**9,214,286**
ხარჯები		
პროგრამული/პროექტის დანახარჯები	(6,591,773)	(7,225,087)
ადმინისტრაციული დანახარჯები	(2,310,253)	(2,244,664)
ფონდების მოზიდვასთან დაკავშირებული დანახარჯები	(100,241)	(60,613)
სხვა დანახარჯები	(707,231)	(727,785)
სულ დანახარჯები	**(9,709,498)**	**(10,258,150)**
სახსრების ტრანსფერი საოპერაციო შემოსავალში საზღვარგარეთიდან	**0**	**0**
წმინდა ნამატი/დეფიციტი საოპერაციო საქმიანობიდან	**(986,549)**	**(1,043,864)**
შემოსავალი/დანახარჯი საფინანსო საქმიანობიდან		
საპროცენტო შემოსავალი	17,862	21,166
საპროცენტო დანახარჯი	-6,769	(6,665)
სხვა ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	1,089,980	1,138,657
გაცვლითი კურსით გამოწვეული მოგება/ზარალი	78,105	51,889
სულ საფინანსო საქმიანობიდან მიღებული შედეგი	**1,179,178**	**1,205,047**
წმინდა ნამატი/დეფიციტი გადასახადამდე	**192,629**	**161,183**
მოგების გადასახადის ხარჯი	**-**	**-**
გადასახადების შემდეგ ნამატი/დეფიციტი	**192,629**	**161,183**

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულის მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	31.12.2024 ლარი	31.12.2023 ლარი
ნამატი გადასახადის გადახდამდე	192,628	161,183
კორექტირებები:		
საწყისი ნაშთის კორექტირება	-	-
ამორტიზაცია	678,838	676,853
ქონების, მანქანა-დანადგარების რეალიზაცია	26,576	50,932
afaseba	-	-
საოპერაციო ნამატი საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	**898,042**	**888,968**
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებაში	191,267	121,066
ცვლილებები მარაგებში	(936)	2,106
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	(235,419)	(271,036)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობდან	**852,953**	**741,104**
ფულის მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(134,725)	(452,278)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
კორექტირება ძირითად საშუალებებში	-	-
წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	**(134,725)**	**(452,278)**
ჯამური ფულის მოძრაობა	**718,228**	**288,826**
ფულის და ფულის ექვივალენტების წმინდა ცვლილება	**718,228**	**288,826**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	**2,159,892**	**1,871,066**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**2,878,120**	**2,159,892**